# შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

აპრილი, 2013

# შ ი ნ ა ა რ ს ი

- არსებული მდგომარეობის შეფასება
- ძირითადი პრობლემები
- შპს. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
- ჩართული მხარეები
- გასატარებელი ღონისძიებები
- მოკლევადიანი მიზნები
- საერთაშორისო თანამშრომლობა

# არსებული მდგომარეობის შეფასება





- არ არსებობს ნაგავსაყრელის მოწყობის წესი და ნარჩენების განთავსების პროცედურა;
- ნაგავსაყრელებზე ნარჩენები შედის ყოველგვარი დახარისხების გარეშე, მათ შორისაა სახიფათო ნარჩენებიც;
- სისტემატურად ირღვევა ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და განთავსების სანიტარული და ეკოლოგიური მოთხოვნები;
- არ არსებობს დასანოტივებელი წყალმომარაგების სისტემები, არ წარმოებს ნარჩენების დატკეპვნა და საიზოლაციო მიწის ფენით დაფარვა;
- ნაგავსაყრელები არ არის შემოღობილი და დაცული, ადგილი აქვს მდინარეებში ნარჩენების ჩარეცხვის ფაქტებს და ნაგავსაყრელებზე არ ხორციელდება გარემოსდაცვითი მონიტორინგი;
- მუნიციპალიტეტებში არაადექვატური და ძალზე მწირია ნაგავსაყრელის მართვის ფინანსური რესურსი;

# არსებული მდგომარეობის შეფასება





- მუნიციპალიტეტებში დაბალია თანამშრომელთა კვალიფიკაციის დონე
- არ არსებობს ერთიანი საკანონმდებლო ბაზა და ნორმატივები
- დაბალია ქვეყანაში წარმოქმნილი მყარი ნარჩენების სახელმწიფო აღრიცხვა-ანგარიშგების კულტურა
- არ არსებობს ეკონომიკური სტიმულირების სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც ხელს შეუწყობდა ინვესტიციების მოზიდვას და კერძო სექტორის ჩართვას ამ სფეროში
- დაბალია უწყებებს შორის კოორდინაციის დონე
- არ ხდება ნარჩენების სეპარაცია, რეციკლირება და მეორადი გადამუშავება;
- ქალაქად და სოფლად დანაგვიანებულია გარემო, შექმნილია ანტისანიტარიის კერები;
- დაბალია საზოგადოების ცნობიერების დონე და საფრთხე ექმნება ეკოტურიზმის განვითარებას;



# ძირითადი პრობლემები

- დეცენტრალიზირებული მენეჯმენტი
- მყარი ნარჩენების მართვის არაეფექტური სისტემის არსებობა
- არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა
- თანხების ამოღების არაეფექტური სისტემა
- თანამშრომელთა დაბალი კვალიფიკაცია

# შპს. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია

დაფუძნდა 2012 წლის 24 აპრილს

100% სახელმწიფო მფლობელობა

კომპანია წარმოადგენს სხვა ქვეყნებში არსებული ორგანიზაციების ანალოგს, სადაც ნაგავსაყრელები იმართება ერთი ორგანიზაციის მიერ.

საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

- ნაგავსაყრელების მოწყობა და მართვა
- ნაგავსაყრელზე არსებული მყარი ნარჩენების მართვა;

სამოქმედო ტერიტორია: საქართველოს რეგიონები (ქვემო ქართლი, კახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია)

# ჩართული მხარეები

მოსახლეობა



ადგილობრივი მართვის ორგანოები



ადგილობრივი მართვის ორგანოები



გარემოს დაცვის სამინისტრო

სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სანიტარულ-ჰიგიენური წესების, ნორმებისა და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების შემუშავება და დამტკიცება

ნაგავსაყრელების მოწყობა და მართვა

მყარი ნარჩენების მართვის კომპანია



# გასატარებელი ღონისძიებები

- ნაგავსაყრელების რემედიაცია
- ნაგავსაყრელების ეფექტური მართვის სისტემების ჩამოყალიბება
- ნაგავსაყრელების მოწყობის წესის და ნარჩენების განთავსების პროცედურის შემუშავება
- კანონმდებლობის და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში აქტიური მონაწილეობა
- ნაგავსაყრელზე შესული მყარი ნარჩენის აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის შექმნა
- ეკონომიკური სტიმულირების სამართლებრივი რეჟიმის შექმნის ხელშეწყობა
- საქმიანობების კოორდინაცია და თანამშრომლობა სხვადასხვა უწყებებთან

# მოკლევადიანი მიზნები (1)

1
- არსებული ნაგავსაყრელებიდან შეირჩეს ის ნაგავსაყრელები, რომლებზეც მოხდება მთელი წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენის განთავსება კონკრეტულ რეგიონებში

2
- მოხდეს წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსება ამ შერჩეულ ნაგავსაყრელებზე ან ნარჩენების გადამუშავება

3
- გაუმჯობესდეს ნარჩენების მიღება ყველა ნაგავსაყრელებზე

4
- მოხდეს კომპანიის იურისდიქციაში არსებული ნაგავსაყრელების განახლება/მოწესრიგება

5
- ნაგავსაყრელების მართვა მოხდეს მისაღები სტანდარტების შესაბამისად და მხედველობაში იქნას მიღებული გარემოზე ზემოქმედება, შრომის უსაფრთხოება და ადამიანების ჯანმრთელობა, ტექნიკური და ინფრასტრუქტურული ზომების ჩათვლით

6
- ქუთაისის, ბორჯომის და სავარაუდოდ ქვემო ქართლის ნაგავსაყრელების მართვა მოხდეს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად

# მოკლევადიანი მიზნები (2)

7 • მოხდეს გეგმის შემუშავება შერჩეული ნაგავსაყრელების დროულად მოწესრიგების და/ან დახურვის დაფინანსებასთან დაკავშირებით

8 • არსებულ ნაგავსაყრელებზე განხორციელდეს ბიოგაზის შეგროვების შესაძლებლობის შესწავლა

9 • მოხდეს ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების და გადამტვირთი სადგურების საჭირო რაოდენობის დადგენა

10 • განხორციელდეს მაღალი რისკის მქონე ნაგავსაყრელების რემედიაცია და დახურვა

11 • შეიქმნას ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენის სანდო მონაცემთა ბაზა

12 • შემუშავდეს ხარჯების ამოღების ეფექტური სისტემა

# მოკლევადიანი მიზნები (3)

13
- მოხდეს კომპანიის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება ნარჩენების მართვის სხვადასხვა საკითხებზე, ტექნიკური, ეკონომიკური, ადმინისტრატიული და იურიდიული საკითხების ჩათვლით

14
- მოხდეს მოსახლეობის, მრეწველობის, საავადმყოფოების და სხვა ოფიციალური პირების ცნობიერების ამაღლება ნაგავსაყრელების და ნარჩენების მდგრადი მართვის თაობაზე

15
- კომპანიასა და მუნიციპალიტეტებს შორის შეიქმნას ფორმალიზებული თანამშრომლობის სისტემა

16
- მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის საშუალებით ხელი შეუწყოთ წყაროზე სეპარაციის, გადამუშავებისა და მეორადი გამოყენების მექანიზმების დანერგვას

17
- ჩამოყალიბდეს კომუნიკაციის სისტემა საქართველოს მთავრობასთან, განსაკუთრებით გარემოს დაცვის სამინისტროსთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, დონორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან

18
- კომპანიის კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მივიღოთ საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში

# მადლობა ყურადღებისთვის!